# ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
# სადოქტორო პროგრამა
# კურიკულუმი

| | |
|---|---|
| **ფაკულტეტის დასახელება** | **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი** |
| **პროგრამის დასახელება** | **ბიზნესის ადმინისტრირება**<br>**Business Administration** |
| **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია** | **ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი**<br>**PHD in Business Administration** |
| **პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი/კრედიტების რაოდენობა)** | 3-5 წელი (6-10 სემესტრი), 30 კრედიტი |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი** | პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და ბოლოს განახლდა 2024 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. |
| **პროგრამის ხელმძღვანელები** | ნინო პატარაია, პროფესორი<br>ნიკოლოზ ყაველაშვილი, პროფესორი<br>გიორგი ხიშტოვანი, ასოცირებული პროფესორი |

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)**

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ეკონომიკასა (0311) ან ბიზნესსა და ადმინისტრირებაში (041). სხვა მიმართულებით მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის შემთხვევაში აპლიკანტს მოეთხოვება GMAT (ქულა - მინიმუმ 550), ან 7-წლიანი მენეჯერული გამოცდილება;
- სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- შესაბამის სფეროში (ეკონომიკა (0311), ბიზნესი და ადმინისტრირება (041)) კანდიდატის მიერ შესრულებული წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია, ან/და მის მიერ სამეცნიერო -კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, ან/და შესაბამის სფეროში (ეკონომიკა (0311), ბიზნესი და ადმინისტრირება (041)) მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე, რაც დადასტურებულია ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე კომპონენტით:

  ა) ინგლისურ ენაში წარმატებით ჩაბარებული საუნივერსიტეტო გამოცდა;

  ბ) C1 დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი ერთ-ერთი საერთაშორისო გამოცდის ჩაბარების შედეგად მიღებული სერტიფიკატი:

  - ☐ კემბრიჯის გამოცდები: Cambridge English Scale – 180; IELTS – Bands 6.5; CAE - Grades C; FCE - Grade A; CPE - Grade C; BEC Vantage - Grade A; ILEC - Pass with C1; BULATS 74; TOEIC ETS® Educational testing Service - score 865; Aptis Test.
  - ☐ TOEFL 95.
  - ☐ Pearson tests: PTE General level - 4; PTE Academic.

  გ) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - Certus;

  დ) ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი (დიპლომის ნამდვილობა უნდა იყოს შესაბამისად დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);
- შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა.

დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების, ვადების, წარსადგენი დოკუმენტების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა“. მიღების შესახებ ინფორმაცია თავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე - www.iliauni.edu.ge.

ინფორმაცია დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების შესახებ იხ. ქვემოთ, სადოქტორო პროგრამის დახასიათებაში/კონცეფციაში, ხოლო სადოქტორო კვლევის განხორციელებისთვის მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმების შესახებ - სწავლისათვის აუცილებელ დამხმარე პირობებში/რესურსებში.

## პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია, მოამზადოს ახალი თაობის მკვლევრები, რომელთაც ექნებათ უნარი ბიზნესისა ადმინისტრირების მიმართულებით განახორციელონ უახლეს მეთოდოლოგიაზე დამყარებული ინოვაციური კვლევები დარგში არსებული ცოდნის გაფართოების/ახალი ცოდნის შექმნის მიზნით, შეძლონ კვლევის შედეგების დისემინაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში და გახდნენ კონკურენტუნარიანი, როგორც აკადემიურ სფეროში, ასევე შესაბამისი პროფილის ორგანიზაციაში (მაგ. კერძო. სახლმწიფო ან არასამთავრობო), რომელთა საქმიანობაში ფართოდ გამოიყენება უახლესი კვლევის შედეგები.

## პროგრამის კონცეფცია

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია დარგში ლოკალური მასშტაბის თანამედროვე ბიზნეს პროცესების კომპლექსურ შესწავლაზე.

პროგრამა ეფუძნება სხვადასხვა უახლესი თეორიული პარადიგმების და კვლევის (თვისებრივი და რაოდენობრივი) მეთოდოლოგიების ათვისებას და ემსახურება ახალი ცოდნის გენერირებას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ორიგინალური კვლევის საფუძველზე.

სადოქტორო პროგრამის მისიაა, გააღრმავოს და გააფართოვოს ადგილობრივ დონეზე არსებული ბიზნესის კვლევის შესაძლებლობები, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო მიდგომებსა და უახლეს ტენდენციებს. შესაბამისად, ის ორიენტირებულია უცხო ქვეყნების უნივერსიტეტებთან და მეცნიერებთან თანამშრომლობით შექმნას მაღალი ხარისხის კვლევითი გარემო. კერძოდ, უნივერსიტეტის კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში შექმნილია შესაძლებლობა, მოხდეს ორმაგი ხარისხის მინიჭება ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, გიოტინგენის უნივერსიტეტთან გაფორმებული კოტიუტელის ფარგლებში. პროგრამას ასევე ჰყავს საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭო (იხ. ქვემოთ)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შექმნილი ახალი ცოდნის დისემინაცია სამეცნიერო სივრცეში საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიების სახით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სადოქტორო პროგრამის პრიორიტეტია დოქტორანტების ჩართვა ბიზნესის ადმინისტრირების დარგში აქტუალური პრობლემების შესახებ თანამედროვე ცოდნის შექმნასა და განვითარებაში. ამგვარი ცოდნის შექმნა და განვითარება რამდენიმე პრინციპით ხელმძღვანელობს:

- ახალი ცოდნა უნდა აკმაყოფილებდეს კვლევის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და სტანდარტებს, რაც ითვალისწინებს ცოდნის არსებული საზღვრების გაფართოებას და, შესაბამისად, დარგის განვითარებაში წვლილის შეტანას;

- კვლევები პასუხობს ბიზნესის სფეროს თანამედროვე გამოწვევებს, სიღრმისეულად სწავლობს არსებულ სირთულეებსა და პრობლემებს. მათ შორის, მათი მიგნებები შეიძლება ეხმარებოდეს გადაწყვეტილების მიმღებებს პრობლემების გადაჭრაში.

სადოქტორო პროგრამა, საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და დარგის წამყვან მეცნიერებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობს დოქტორანტების ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში (მენტორობა, თანახელმძღვანელობა), ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაციის მიმართულებით დოქტორანტების კვლევითი შესაძლებლობების გაფართოვებას.

სადოქტორო პროგრამა ეფუძნება მსოფლიოს წამყვანი გერმანული და ბრიტანული უნივერსიტეტების (გიოტინგენის უნივერსიტეტი, მიუნსტერის უნივერსიტეტი, ბრემენის უნივერსიტეტი, კარდიფის უნივერსიტეტი, ბერმინჰემის უნივერსიტეტი, სამხრეთ უელსის უნივერსიტეტი, ლონდონის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტი), გამოცდილებას. დარგში დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებისა და ახალი ცოდნის გაზიარების მიზნით, პროგრამის ფარგლებში შექმნილია საერთაშორისო ექსპერტთა საკონსულატაციო საბჭო.

საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭოს წარმოადგენენ:

- ირენა ზავრლი, სადოქტორო პროგრამების ცენტრის ხელმძღვანელი, ბურგერლანდის უნივერსიტეტი;
- სებასტიან ვოლმერი, განვითარების ეკონომიკის პროფესორი, თანამედროვე ინდური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, გიოტინგენის უნივერსიტეტი;
- ბორის ნაიმანი, ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტი Paris-Est Créteil;
- მაიკლ მესერი, პროფესორი (ბიზნესის ადმინისტრირება/ფინანსური მენეჯმენტი), ფრეზენიუსის უნივერსიტეტი;
- სებასტიან ა. ტაიდმან-ფრაპარი – ასისტენტ-პროფესორი, ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით, სირაკუზას უნივერსიტეტი, მარტინ ჯ. უიტმანის მენეჯმენტის სკოლა.

საბჭოს ჩართულობა პროგრამაში მოიცავს:

- კონსულტაციას პროგრამის კურიკულუმის განვითარების შესახებ;
- საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში დოქტორანტებისა და პროფესორების ჩართვის ხელშეწყობას;
- დოქტორანტების თანახელმძღვანელობას;
- კვლევის უახლესი მეთოდებისა და ტექნიკების მიმართულებით ვორქშოპებისა და ტრენინგების კურსების ხელშეწყობას;
- სადოქტორო ნაშრომებზე და სამეცნიერო სტატიებზე მუშაობისას დოქტორანტების კონსულტირებას.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტების ხელმძღვანელები:

1. **ნიკოლოზ ყაველაშვილი** - https://faculty.iliauni.edu.ge/business/qhavelashvili-nikoloz/
2. **ნინო პატარაია** - https://faculty.iliauni.edu.ge/business/pataraia-nino/
3. **გიორგი ხიშტოვანი** - https://faculty.iliauni.edu.ge/business/khishtovani-giorgi/
4. **თამარ მაღალაშვილი** - https://faculty.iliauni.edu.ge/business/maghalashvili-thamar/
5. **დავით თუთბერიძე** - https://faculty.iliauni.edu.ge/business/thuthberidze-davith/
6. **დავით გამყრელიძე** - https://faculty.iliauni.edu.ge/business/gamqhrelidze-davith/
7. **ირინე გურული** - https://faculty.iliauni.edu.ge/business/guruli-irine/
8. **დიმიტრი ჯაფარიძე** - https://faculty.iliauni.edu.ge/arts/dimitri-japharidze/
9. **ნინო მახაშვილი** - https://faculty.iliauni.edu.ge/business/makhashvili-nino/
10. **რევაზ გერაძე** - https://faculty.iliauni.edu.ge/business/geradze-revaz/

## სწავლის შედეგები

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს:

1. შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების არჩეულ კვლევის სფეროში უახლესი თეორიებისა და მიღწევების შესახებ სიღრმისეული ცოდნის დემონსტრირება და კრიტიკული გადააზრება;
2. კვლევის უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით, შეუძლია საკვლევ სფეროში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
3. ახალი ცოდნის გაზიარების მიზნით, შეუძლია სამეცნიერო საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, მათ შორის, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნების გზით;
4. შეუძლია ცოდნის ტრანსფერი სააუდიტორიო სწავლების პროცესში.

## პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს. მათ შორის, სავალდებულო კურსები - 24 კრედიტი, ხოლო არჩევითი - 6 კრედიტი, საიდანაც დოქტორანტი იღებს კურსებს თავისი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს მიეცემა შესაძლებლობა, კრედიტების გარეშე გაიაროს აღდგენითი კურსი (ე.წ. remedial course) სამაგისტრო საფეხურიდან სტატისტიკის ან კვლევითი მეთოდოლოგიების საკითხებზე.

ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამა სთავაზობს დოქტორანტებს სხვადასხვა ტრენინგს/ workshop-ს, რომელიც ადმინისტრირებულია აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის მიერ. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამაზე სწავლის პერიოდში, დოქტორანტებმა უნდა აირჩიონ მინიმუმ ერთი ტრენინგი/workshop-ი. დოქტორანტებს ტრენინგი/workshop-ი გავლილად ჩაეთვლებათ, თუ ისინი დააკმაყოფილებენ არჩეული კომპონენტის ყველა მოთხოვნას. ქვემოთ, პროგრამის სტრუქტურაში მითითებული ტრენინგების/workshop-ების ჩამონათვალი შეიძლება განახლდეს ყოველი სემესტრის/აკადემიური წლის დასაწყისში

| კომპონენტები | სემესტრები | | | | | | | | | | ECTS |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | |
| **სავალდებულო კომპონენტები - 24 კრედიტი** | | | | | | | | | | | |
| ასისტირება* | | | | | | | | | | | **18** |
| Writing for Academic Publication** | | | | | | | | | | | **6** |
| სადოქტორო კოლოკვიუმები | | | | | | | | | | | - |
| სადისერტაციო ნაშრომი*** | | | | | | | | | | | - |
| ტრენინგი: სწავლების თანამედროვე მეთოდები დოქტორანტებისათვის | | | | | | | | | | | - |
| ტრენინგი: კვლევის ეთიკა | | | | | | | | | | | |
| **არჩევითი კომპონენტი - 6 კრედიტი** | | | | | | | | | | | |
| Qualitative Data Analysis with Nvivo | | | | | | | | | | | 6 |
| პანელური მონაცემების ანალიზი EViews-ში | | | | | | | | | | | 6 |
| დროითი მწკრივების მონაცემების ანალიზი Eviews-ში | | | | | | | | | | | 6 |
| **ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტები (პიროვნული და პროფესიული განვითრების ცენტრის ტრენინგები)** | | | | | | | | | | | |
| ტრენინგი: საპროექტო წინადადების მომზადება | | | | | | | | | | | - |
| „სტუდენტთა აქტიურობის შეფასების პრინციპები და ინსტრუმენტები“ | | | | | | | | | | | - |
| აქტიური სწავლება ამობრუნებულ გაკვეთილზე | | | | | | | | | | | - |
| ორგანიზაციული მართვისა და ლიდერობის ტრენინგი | | | | | | | | | | | - |
| POWER BI | | | | | | | | | | | - |
| სტუდენტთა შეფასება<br>აქტიური სწავლება ამობრუნებულ გაკვეთილზე (Active Learning in the Flipped Classroom) დოქტორანტებისთვის | | | | | | | | | | | - |
| ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში | | | | | | | | | | | - |
| სწავლების ეფექტიანობის გაზრდა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებით. | | | | | | | | | | | - |

*სწავლების ასისტირების წინაპირობაა „პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის (PPDC)“ ტრენინგი სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების შესახებ უმაღლეს განათლებაში; კვლევითი ასისტირების წინაპირობაა სადოქტორო კვლევის გეგმის (პროსპექტუსის) დაცვა;
**Writing for Academic Publication - კომპონენტის შესასრულებლად დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს სადოქტორო კვლევის გეგმა (პროსპექტუსი); შეგროვებული უნდა ჰქონდეს მონაცემები და მუშაობდეს პუბლიკაციაზე;
***სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა დაცვისთვის შესაძლებელია მხოლოდ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების, მათ შორის, კოლოკვიუმის შესრულებისა და პუბლიკაციის ან პუბლიკაციაზე თანხმობის წარდგენის შემდეგ;

სადოქტორო პროგრამა იწყება **სადოქტორო კვლევის გეგმის (პროსპექტუსის)** მომზადებით. კერძოდ, დოქტორანტი პირველი წლის განმავლობაში ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად მუშაობს კვლევის გეგმაზე, რომელსაც შესაფასებლად წარადგენს დარგობრივი კომისიის წინაშე.

სადოქტორო კვლევის გეგმის (პროსპექტუსის) მომზადების განმავლობაში დოქტორანტები:

- განსაზღვრავენ საკვლევ საკითხს/პრობლემას;
- აკეთებენ რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შერჩეული საკითხის/პრობლემის შესახებ უახლესი თეორიების, კვლევებზე დაფუძნებული უახლესი ცოდნის, კრიტიკულ ანალიზს/სინთეზს და შეფასებას;
- ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და აყალიბებენ კვლევის მიზანს, საკვლევ კითხვას/ებს (საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზას) და კვლევის მეთოდოლოგიას;
- ადგენენ ბიბლიოგრაფიას და კვლევის განხორციელების გეგმას.

დასრულებულ კვლევის გეგმას (პროსპექტუსს) დოქტორანტი იცავს დარგობრივი კომისიის წინაშე სწავლების პირველი წლის ბოლოს. დეტალური ინფორმაცია კვლევის გეგმის (პროსპექტუსის) შესახებ მოცემულია კვლევის გეგმის (პროსპექტუსის) კონცეფციაში.

სადოქტორო **კოლოკვიუმის** მიზანია, უზრუნველყოს დოქტორანტების კვლევითი პროცესის სისტემატიზაცია (მათ შორის, სადოქტორო კვლევის გეგმაზე (პროსპექტუსზე) მუშაობის პროცესის), და მისი შედეგზე ორიენტირებულობა, დოქტორანტისთვის მის პროგრესთან დაკავშირებით განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდების გზით. სადოქტორო კოლოკვიუმი ხელს უწყობს სტუდენტს, წარმართოს კვლევა კვლევის გეგმის მიხედვით, მოახდინოს პერიოდული რეფლექსია და ანგარიშგება კვლევის შედეგებთან დაკავშირებით, სხვა, მათ შორის მომიჯნავე დარგების (ფსიქოლოგია) დოქტორანტებთან ერთად ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიაში, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან, მათ შორის კვლევის ხელმძვანელისგან მიიღოს კონსტრუქციული უკუკავშირი კვლევის გაუმჯობესების მიზნით. თითოეული დოქტორანტი თავისი კვლევის შედეგებს წარადგენს წელიწადში მინიმუმ ერთხელ. კოლოკვიუმის სესიებში, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთვებიან ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულები არიან კვლევის შედეგებით (დეტალური ინფორმაცია იხ. კოლოკვიუმის კონცეფციაში).

**კვლევის ეთიკა**

კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის მიზნით, დოქტორანტმა, მას შემდეგ რაც დაიცავს კვლევის გეგმას (პროსპექტუსს), თავისი კვლევის შესახებ ინფორმაცია (საკვლევი საკითხი და პრობლემა, კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა/კითხვები ან/და ჰიპოთეზა, დეტალური მეთოდოლოგია, მათ შორის მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტი) უნდა გადაუგზავნოს ეთიკის კომისიას. დოქტორანტი კვლევის განხორციელებას იწყებს მხოლოდ ეთიკის კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში (იხ. დოკუმენტი “ეთიკის კომისია”). დოქტორანტურაში სწავლის პირველი წლის მანძილზე (პროსპექტუსის დაცვამდე), დოქტორანტი ვალდებულია გაიაროს ტრენინგი კვლევის ეთიკის შესახებ.

**პუბლიკაცია**

სადოქტორო პროგრამის დასრულებისთვის აუცილებელი პირობაა სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება. კერძოდ, დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება გამოაქვეყნოს არა ნაკლებ ორი სამეცნიერო პუბლიკაცია შესაბამის სფეროში, მათ შორის ერთი - საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალში. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები პუბლიკაციისადმი მოცემულია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების დოკუმენტში.

**ასისტირება**

ასისტირება არის სადოქტორო პროგრამის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებულია როგორც სწავლების, ასევე კვლევის ასისტირება. სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი ან აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, ან დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიური კურსის კომპონენტს და ატარებს სალექციო/სასემინარო კურსს. კვლევის ასისტირების დროს დოქტორანტი შესაბამისი მიმართულების

საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში უწევს კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას, რეცენზირებას, ან/და ერთვება კვლევითი ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ კვლევით აქტივობებში. დეტალური ინფორმაცია ასისტირების შესახებ მოცემულია ასისტირების კონცეფციაში.

**სადოქტორო ნაშრომის წარდგენა და დაცვა**
სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადოქტორო ნაშრომის დაცვა ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე. დეტალური ინფორმაცია სადოქტორო ნაშრომის წარდგენის და დაცვის შესახებ მოცემულია სადოქტორო ნაშრომის კონცეფციაში.

## სწავლების მეთოდები

- სუპერვიზია;
- ლექცია და სემინარი;
- ანალიზი და სინთეზი;
- დისკუსია;
- შემთხვევის ანალიზი;
- რეფლექსია;
- პრაქტიკული მუშაობა.

***შენიშვნა:*** *პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციის დოკუმენტებში.*

## შეფასების წესი

**სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:**

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
(C) კარგი – 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო
არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სისტემით:**
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ)საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

„ზ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

**დასაქმების სფეროები**

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

- აკადემიურ (უნივერსიტეტები /კვლევითი ინსტიტუტები) დაწესებულებებში;
- ბიზნეს (კერძო) სექტორში და/ან შესაბამისი პროფილის სახელმწიფო, ან არასამთავრობო დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ შესაბამისი მიმართულებით კვლევით საქმიანობას.

**სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა;
- ბიზნესის კვლევების ცენტრი;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტი;
- კვლევების კოორდინაციის სამსახური;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების შესაძლებლობა.
- აკადემიური წერის ცენტრი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ელექტრონული ბაზები- ScienceDirect, Scopus, Clarivete Analytics, ProQuest, EBSCO; Cambridge Journals, etc.
- კომპიუტერული აუდიტორიები;
- პროგრამები: NVivo ; EViews;
- Zoom, E-learning, Turnitin;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: არგუსი.

**მემოდანდუმები:**

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გიოტინგენის უნივერსიტეტთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბრემენის უნივერსიტეტთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ადამ მიცკევიჩის, პოზნანის უნივერსიტეტთან (პოლონეთი);
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვარშავის ეკონომიკურ სკოლასთან (პოლონეთი);
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასთან (ISET).

**ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი**

| # | სახელი, გვარი, პროფილი | სტატუსი | კურსი/კომპონენტი |
|---|---|---|---|
| 1 | ნიკოლოზ ყავლაშვილი | პროფესორი | სადოქტორო ნაშრომი |
| 2 | ზურაბ ჭიაბერაშვილი | პროფესორი | |
| 3 | დიმიტრი ჯაფარიძე | პროფესორი https://faculty.iliauni.edu.ge/arts/dimitri-japharidze/ | |
| 4 | გიორგი ხიშტოვანი | ასოცირებული პროფესორი | |
| 5 | ნიკოლოზ ქოიავა | ასოცირებული პროფესორი | |
| 6 | თამარ მაღალაშვილი | ასოცირებული პროფესორი | |
| 7 | ნინო მახაშვილი | ასოცირებული პროფესორი | |
| 8 | გიორგი დანელია | ასოცირებული პროფესორი | |
| 9 | რევაზ გერაძე | ასოცირებული პროფესორი | |
| 10 | თორნიკე გურული | პროფესორი | |
| 11 | დავით თუთბერიძე | ასოცირებული პროფესორი | |
| 12 | ირინე გურული | ასოცირებული პროფესორი | |
| 13 | დავით გამყრელიძე | ასოცირებული პროფესორი | |
| 14 | მაია როგავა | პროფესორი | Writing for Academic Publication |

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 | ნინო პაგარაია | პროფესორი | სადოქტორო ნაშრომი/Qualitative Data Analysis with NVivo |
| 16 | ალექსანდრე ერგეშიძე | ასოცირებული პროფესორი | სადოქტორო ნაშრომი/პანელური მონაცემების ანალიზი<br>EViews-ში/დროითი მწკრივების მონაცემების ანალიზი EViews-ში |